საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/6 "25" იანვარი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქ. თხელიძის ცაგერის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

2022 წლის 28 მაისს ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნანა ჯანხოთელი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. იგი აღნიშნულ სასამართლოში უფლებამოსილების განმახორციელებელი ერთადერთი მოსამართლე იყო, შესაბამისად მართლსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა ცაგერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის მივლინება, გარკვეული საორგანიზაციო და საკადრო უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ცაგერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს. 2023 წლის 24 იანვარს მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლე ქეთევან თხელიძის თანხმობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2023 წლის 25 იანვრიდან 2023 წლის 1 თებერვლამდე:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან თხელიძე მივლინებულ იქნეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. ქეთევან თხელიძემ იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი